

პრეზიდენტ თომას ს. მონსონის მიერ

იყავით მაგალითი და ნათელი

როცა მხსნელის მაგალითს მიყვებით, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, იყოთ სინათლე თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების ცხოვრებაში.

ძმებო და ძმებო, რა მშვენიერია ისევ თქვენთან ყოფნა. როგორც იცით, აპრილში, ჩვენი ერთად ყოფნის შემდეგ, უეცრად სამი საყვარელი მოციქული დავკარგეთ: პრეზიდენტი ბოიდ კ. პაკერი, უხუცესი ლ.ტომ პერი და უხუცესი რიჩარდ ჯ.სკოტი. ისინი თავიანთ ზეციურ სახლებში დაბრუნდნენ. ჩვენ ისინი გვენატრება. რაოდენ მოხარულნი ვართ მათი ქრისტესმიერი სიყვარულის მაგალითისთვის და შთამაგონებელი სწავლებებისთვის, რაც მათ ყოველ ჩვენგანს დაუტოვეს.

ჩვენ გულითადად მივესალმებით ჩვენს ახალ მოციქულებს - უხუცეს რონალდ ა. რასბანდს, უხუცეს გარი ე. სტივსნსონს და უხუცეს დეილ გ. რენლანდს. ესენი არიან უფლის საქმეში თავდადებული ადამიანები. ისინი შეესაბამებიან იმ მნიშვნელოვან წოდებებს, რომლებიც მიიღეს.

ბოლო ხანებში, როცა ვკითხულობდი და ვუფიქრდებოდი წმინდა წერილს, განსაკუთრებით ორი ამონარიდი დამამახსოვრდა. ორივე კარგად არის ჩვენთვის ცნობილი. პირველია მთაზე ქადაგებიდან: „ისევე ანათებდეს თქვენი ნათელი ადამიანთა წინაშე, რათა ხედავდნენ ისინი თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ თქვენს მამას, რომელიც ზეცაშია“.[1] მეორე ამონარიდი მომივიდა აზრად, როცა პირველის მნიშვნელობაზე ვფიქრობდი. ეს არის პავლე მოციქულის წერილიდან ტიმოთეს: “მორწმუნეთათვის მაგალითი იყავი სიტყვაში, საქმეში, სიყვარულში, სულში, რწმენაში, სიწმინდეში“.[2]

ჩემი აზრით, მეორე ამონარიდი წმინდა წერილიდან მეტწილად აღწერს, როგორ შევასრულოთ ის, რასაც პირველში ვკითხულობთ. ჩვენ ვხდებით მაგალითნი მორწმუნეთათვის იმით, რომ ვცხოვრობთ იესო ქრისტეს სახარების მიხედვით სიტყვაში, საქმეში, სიყვარულში, სულში, რწმენასა და სიწმინდეში. როცა ასე ვიქცევით, ჩვენი ნათელი სხვებისთვის შესამჩნევი იქნება.

ყოველი ჩვენგანი მოევლინა დედამიწას ქრისტეს ნათელით. როცა მხსნელის მაგალითს მივყვებით და ვცხოვრობთ ისე, როგორც იგი ცხოვრობდა და ასწავლიდა, ჩვენში ნათელი იგიზგიზებს და სხვებსაც გაუნათებს გზას.

პავლე მოციქულმა ჩამოგვითვალა მორწმნუნის ექვსი ნიშანი, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს ნათელს, იკაშკაშოს. მოდით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მე ერთად მოვიხსენიებ პირველ ორ ნიშანს: იყავით მაგალითი სიტყვაში და საქმეში. ჩვენს მიერ ნათქვამ სიტყვებს შეუძლია აგვამაღლონ და შთაგვაგონონ ან ზიანი მოგვაყენონ და დაგვაკნინონ. დღევანდელ სამყაროში მკრეხელობის სიჭარბეა და ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ იგი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ძნელია ყური წაიყრუო, როცა ღვთაებას ჩვეულებრივად და დაუფიქრებლად მოიხსენიებენ. უხეში კომენტარები ტელევიზიის, ფილმების, წიგნების და მუსიკის თითქოს და ჩვეულებრივი ნაწილი გახდა. ხშირად გამოიყენება შეურაცხმყოფელი სიტყვები. მოდით ვესაუბროთ სხვებს სიყვარულითა და პატივისცემით, ვიზრუნოთ ენის სისუფთავეზე და თავი ავარიდოთ ისეთ სიტყვებსა და კომენტარებს, რომელნიც სხვებისთვის საწყენია. დაე, მივყვეთ მხსნელის მაგალითს, რომელიც შემწყნარებელი და კეთილი იყო თავისი მსახურებისას.

შემდეგი, პავლე მოციქულის მიერ ნახსენები ნიშანი, არის

სიყვარული, რომელიც განმარტებულია, როგორც "ქრისტეს წმინდა სიყვარული".[3] დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ მათზე, ვინც მარტონი, ავად ან იმედგაცრუებულნი არიან. ჩვენ გვეძლევა საშუალება, დავეხმაროთ მათ და სული ავუმაღლოთ. მოუტანა იმედი იმედგაცრუებულებს, სუსტებს კი მისცა ძალა. იგი სნეულთა მკურნალი იყო; ხეიბრები კვლავ დადიოდნენ, ბრმებს თვალი ეხილებოდათ, ყრუებს კი სმენა უბრუნდებოდათ. მან მკვდრეთითაც კი აღადგინა. თავისი მსახურებისას იგი სიყვარულით მისწვდა გასაჭირში მყოფთ. როცა ვბაძავთ მის მაგალითს, ჩვენ სხვების ცხოვრებას ვლოცავთ, ჩვენი საკუთარი ცხოვრების ჩათვლით.

ამის გარდა, ჩვენ უნდა ვიყოთ მაგალითი სულში. ჩემთვის ეს ნიშნავს იმას, რომ ცხოვრებაში უნდა გვქონდეს სიკეთე, მადლიერება, მიტევება და კეთილი ნება. ეს დახასიათებები უზრუნველყოფს ჩვენთვის ისეთ სულს, რომელიც ჩვენს ირგვლივ მყოფთ ცხოვრებას შეეხება. მე ცხოვრების მანძილზე უამრავი შეხება მქონდა მსგავსი სულის მქონე ადამიანებთან. ჩვენ მათთან ყოფნისას განსაკუთრებულ გრძნობას განვიცდით, რომლის გამოც გვსურს ასეთ ადამიანებთან ყოფნა და მათი მაგალითის მიბაძვა. ისინი ქრისტეს ნათელს ასხივებენ და გვეხმარებიან, შევიგრძნოთ მისი ჩვენდამი სიყვარული.

იმის დასანახად, რომ ნათელი, რომელსაც წმინდა და მოსიყვარულე სული ანათებს, სხვების მიერ ხილულია, მე გაგიზიარებთ წლების წინ მიღებულ გამოცდილებას.

იმ დროს, ეკლესიის ხელმძღვანელები ხვდებოდნენ ოფიციალურ პირებს იერუსალიმში, რათა იჯარის ხელშეკრულება გაეფორმებინათ მიწის იმ ნაკვეთზე, სადაც ეკლესიის იერუსალიმის ცენტრი აშენდებოდა. საჭირო ნებართვის მოსაპოვებლად ეკლესია უნდა დათანხმებოდა იმას, რომ ჩვენი წევრები, რომლებიც ამ ცენტრში იქნებოდნენ, არ იქადაგებდნენ. ხელშეკრულების დადების შემდეგ ერთ-ერთმა ისრაელის ოფიციალურმა პირმა, რომელიც კარგად იცნობდა ეკლესიას და მის წევრებს, თქვა, რომ მან იცოდა, ეკლესია დაიცავდა ამ არა-ქადაგების პირობას. "მაგრამ, - თქვა მან იმ სტუდენტების მიმართებაში, რომლებიც დაესწრებოდნენ ამ ცენტრს, - რა უნდა ვუყოთ სინათლეს მათ თვალებში"?[4] დაე, ამ განსაკუთრებულმა სინათლემ მუდამ იგიზგიზოს თქვენში და იყოს სხვების მიერ დასანახი და მადლიერების გამომწვევი.

იყო რწმენის მაგალითი ნიშნავს, რომ ჩვენ გვწამს ღმერთი და მისი სიტყვა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს და ვიკვებებით იმ მრწამსით, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ აზრებში და ქმედებებში. ჩვენი რწმენა უფალ იესო ქრისტეში და მამაზეციერში მოახდენს გავლენას ყოველ ჩვენს საქმეზე. ჩვენი დროის დაბნეულობაში, სინდისთან ჭიდილში, ყოველდღიური ცხოვრების ალიაქოთში, მტკიცე რწმენა ჩვენი ცხოვრების ღუზა ხდება. რწმენა და ეჭვი ერთდროულად ვერ იარსებებენ გონებაში, ვინაიდან ერთი გაფანტავს მეორეს. მე კვლავ გავიმეორებ იმას, რაც არაერთხელ ითქვა - რწმენის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად საჭიროა წმინდა წერილის წაკითხვა, შესწავლა და გააზრება. აუცილებელია მამაზეცერთან საუბარი ლოცვაში. ჩვენ ვერ ვუარყოფთ ყოველივე ამას, რადგან მოწინააღმდეგე და მისი ჯარი დაუნდობლად ეძებენ სუსტ ადგილს ჩვენს აბჯარში, ერთგულების გაგრილებას. უფალმა თქვა: ბეჯითად ეძიეთ, ყოველთვის ილოცეთ და იყავით მორწმუნენი და ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ მოგვარდება".[5]

ბოლოს და ბოლოს, უნდა ვიყოთ სუფთანი, რაც ნიშნავს იყო სუფთა სხეულით, გონებითა და სულით. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი სხეული ტაძარია, რომელსაც პატივისცემითა და მოწიწებით უნდა მოვექცეთ. ჩვენი გონება უნდა იყოს სავსე სულის ასამაღლებელი და კეთილშობილი აზრებით და იყოს თავისუფალი იმისგან, რაც აბინძურებს მას. იმისთვვის, რომ სულიწმინდა ჩვენი მარადიული თანამგზავრი იყოს, საჭიროა ამის ღირსეულნი ვიყოთ. დებო და ძმებო, სიწმინდე მოუტანს ჩვენს გონებას სიმშვიდეს და გავხდებით ღირსნი მივიღოთ მხსნელის დაპირებები. მან თქვა: „ნეტარნი არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ".[6]

როცა ვამტკიცებთ იმას, რომ ვართ სამყაროსთვის მაგალითი სიტყვაში, საქმეში, სიყვარულში, სულში, რწმენაში და სიწმინდეში, ჩვენ ვხდებით ღირსნი ვიყოთ ნათელი ამასოფლისა.

ნება მიბოძეთ, გითხრათ ყველას, განსაკუთრებით კი თქვენ, ახალგაზრდებო, რომ რაც უფო მეტად შორდება სამყარო მოსიყვარულე მამაზეციერის მიერ მოცემულ პრინციპებსა და მითითებებს, მით უფრო მეტად გამოვირჩევით ბრბოსგან, რადგან ჩვენ გავნსხვავდებით მათგან. ჩვენ გამოვირჩევით, რადგან მოკრძალებულად ვიცვამთ. ჩვენ განვსხვავდებით, რადგან არ გამოვიყენებთ უხამსს სიტყვებს და არ ვიღებთ სხეულისთვის მავნე ნივთიერებებს. ჩვენ გამოვირჩევით, რადგან თავს ვარიდებთ შავ იუმორს და უწმაწურ კომენტარებს. ჩვენ განსხვავებულნი ვიქნებით, როცა ავირჩევთ არ ავავსოთ გონება მედია საშუალებების მიერ შემოთავაზებულ მდაბიო დამაკნინებელ არჩევანს, რაც განდევნის სულიწმინდას ჩვენი სახლებიდან და ცხოვრებიდან. ჩვენ გამოვირჩევით, როცა მორალს ავირჩევთ ანუ იმას, რაც ჰარმონიაში იქნება სახარების პრინციპებსა და სტანდარებთან. ყოველივე ეს, რაც განგვასხვავებს სამყაროსგან, მოგვგვრის იმ სინათლესა და სულს, რომელიც

იგიზგიზებს ამ სამყაროში, რომელიც უფრო და უფრო ბნელდება.

ხშირად ძნელია იყო განსხვავებული და განუდგე ბრბოს. ბუნებრივია გეშინოდეს იმისი, რას იფიქრებენ ან იტყვიან სხვები. მანუგეშებელია სიტყვები ფსალმუნიდან: „უფალი შუქი არის და ხსნაა ჩემი: ვის შევუშინდე? უფალი ბურჯია ჩემი სიცოცხლისა: ვისგან შევძრწუნდე“?[7] როცა ქრისტე ჩვენი ცხოვრების შუაგულია, შიში ჩვენი მრწამსის სიმამაცით შეიცვლება.

ცხოვრება არავისთვის არ არის სრულყოფილი, ზოგჯერ სირთ უ ლეები და პრობლემები გვთრგუნავს და ჩვენს სინათლეს ამკრთალებს. მიუხედავად ამისა, მამაზეციერისა და სხვების დახმარებით, ჩვენ შეგვიძლია ისევ მოვიპოვოთ ის სინათლე, რომელიც კიდევ ერთხელ გაგვინათებს გზას და მოგვცემს ნათელს, რომელიც შეიძლება სხვებსაც დასჭირდეთ.

ამის საილუსტრაციოდ, გაგიზიარებთ რამდენიმე სიტყვას ჩემი საყვარელი ლექსიდან, რომელიც პირველად მრავალი წლის წინ წავიკითხე:

ღამით უცნობი შემხვდა
მისი ლამფა არ ანათებდა.
მე გავჩერდი და ჩემი ლამფიდან
მას ავანთებინე ლამფა.
ცოტა ხანში ქარიშხალი
ამოვარდა
და ყველაფერი ირგვლივ
შეაზანზარა.
და როცა ქარი ჩადგა
ჩემი ლამფა ჩამქრალი იყო!

მაგრამ მე ის უცნობი
დამიბრუნდა
მისი ლამფა ენთო.
მან ძვირფასი ალი გამიწოდა
და ჩემი ლამფა აანთო.[8]

ჩემო დებო და ძმებო, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, ჩვენ გვეძლევა შესაძლებლობა ყოველდღე ვანათოთ. როცა მხსნელის მაგალითს მიყვებით, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, იყოთ სინათლე თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების ცხოვრებაში, არიან ისინი თქვენი ოჯახის წევრები, კლასელები, თანამშრომლები, ნაცნობები თუ საერთოდ უცნობი ადამიანები.

ყოველ თქვენგანს გეუბნებით, რომ თქვენ ხართ ზეციური მამის ძე და ასული. თქვენ მოხვედით მისი გარემოცვიდან დედამიწაზე მოკლე ხნით საცხოვრებლად, მხსნელის სიყვარულისა და სწავლების ასარეკლად და სხვებისთვის გაბედულად სინათლის გამოსასხივებლად, რათა ყველამ იხილოს იგი. როცა ეს დრო დედამიწაზე ამოიწურება, თუ შეასრულეთ თქვენი ნაწილი, თქვენ მიიღებთ დიდებულ დალოცვას - ღმერთთან სამარადისოდ ცხოვრების სახით.

რამდენად დამაჯერებელია მხსნელის სიტყვები: „მე ვარ ნათელი სოფლისა, ვინც წამომყვება, ბნელში აღარ ივლის, არამედ სოცოცხლის ნათელი ექნება მას“.[9] მე ვმოწმობ მასზე. იგი არის ჩვენი მხსნელი და გამომსყიდველი, ჩვენი ქომაგი მამასთან. იგი ჩვენი მაგალითი და ძალაა. იგი არის „ნათელი, რომელიც სიბნელეში ანათებს“.[10] დაე, ყოველმა ჩვენგანმა, ვისაც ესმის ჩემი ხმა, დადოს ფიცი, რომ მიჰყვება უფალს, მაშასადამე გახდება კაშკაშა ნათელი მსოფლიოსთვის. მე ამაზედ ვლოცულობ თავად იესო ქრისტეს, უფლის წმინდა სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. მათე 5:16.
2. 1 ტიმოთე 4:12–17
3. მორონი 7:47.
4. იხ. James E. Faust, “The Light in Their Eyes”, *ლიაჰონა,* ნოემბერი 2005, 20.
5. მოძღვრება და აღთქმები 90:24.
6. მათე 5:8.
7. ფსალმუნი 23:1.
8. Lon Woodrum, “Lamps,” *The Lighted Pathway,* ოქტომბერი 1940, 17.
9. იოანე 8:12.
10. იხ.მოძღვრება და აღთქმები 6:21.

სადღეისო სწავლება

2015 წ. მაისიდან 2016 წ. ოქტომბრამდე მელქიცედეკის სამღვდელოებისა და მოწყალების საზოგადოების გაკვეთილები თვის მეოთხე კვირას უნდა მომზადდეს 2015 წ. ოქტომბრის გენერალური კონფერენციის მასალებიდან. 2016 წ. აპრილში გამოსვლების შერჩევა შეგიძლიათ 2016 წ. აპრილის ან 2015 წ. ოქტომბრის გენერალური კონფერენციის მასალებიდან. პალოსა და ოლქის პრეზიდენტებს შეუძლიათ აირჩიონ გამოსვლები, რომლებსაც ისინი გამოიყენებენ თავიანთ ოლქებში ან დაავალონ ეს ეპისკოპოსებსა და მრევლის პრეზიდენტებს.

გამოსვლები სხვადასხვა ენებზე იხილით conference.lds.org.

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *First Presidency Message, November 2015.* Georgian. 12591 131



პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის პირველი მრჩეველი

სულიწმინდა თანამგზავრის როლში

თუ ღირსეულად ვიცხოვრებთ, ჩვენ შეგვიძლია, არა მხოლოდ ხანდახან, არამედ ყოველთვის, თან ვიყოლიოთ სულიწმინდა.

ძვირფასო დებო და ძმებო, მადლიერი ვარ, რომ ვიმყოფები თქვენთან ამ კვირა დრეს უფლის ეკლესიის კონფერენციაზე. მე, ისევე როგორც თქვენ, ვიგრძენი სულიწმინდა, რომელიც მოწმობს იმ სიტყვების ჭეშმარიტებას, რომელნიც ითქვა და ჰიმნებში გაჟღერდა.

ჩემი მიზანია დღეს გავზარდო თქვენი სურვილი და გადაწყვეტილება - მიიღოთ ყოველი ჩვენგანისთვის ნათლობის შემდეგ დაპირებული ძღვენი. კონფირმაციის დროს ჩვენ ვისმენთ ასეთ სიტყვებს: „მიიღე სულიწმინდა“[1] და ამ მომენტიდან ჩვენი ცხოვრება სამუდამოდ იცვლება.

ჩვენ შეგვიძლია, თუ ვიქნებით ამის ღირსნი, თან ვიქონიოთ სულიწმინდა, როგორც დალოცვა, არა მხოლოდ ხანდახან, როგორც, მაგალითად, დღეს, არამედ ყოველთვის. თქვენ იცით ზიარების ლოცვის სიტყვებიდან, როგორ სრულდება ეს დაპირება: ო, ღმერთო, მარადიულო მამავ, ჩვენ გთხოვთ შენი ძის, იესო ქრისტეს სახელით, რომ აკურთხო და განწმინდო ეს პური ყველა იმ არსებისათვის, ვინც მიიღებს მას შენი ძის სხეულის მოსაგონებლად, და იყვნენ მოწმენი შენს წინაშე ღმერთო, მარადიულო მამავ, რომ ისინი მზად არიან მიიღონ შენი ძის სახელი, ყოველთვის ახსოვდეთ და დაიცვან მის მიერ მიცემული მცნებანი.

და შემდეგ დიდებული დაპირება: “დაე, მისი სული *მარადჟამს* იყოს მათთან”. (მოძღვრება და აღთქმები 20:77).

სულიწმინდა მარადჟამს იყოს ჩვენთან ნიშნავს, წინ მიგვიძღვოდეს და გვაძლევდეს მიმართულებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, შეიძლება, სულიწმინდამ გაგვაფრთხილოს, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ ცდუნებას - ჩავიდინოთ სიბოროტე.

მხოლოდ ამ მიზნის გამო ადვილია დაინახო, რატომ ეცადნენ უფლის მსახურები გაეზარდათ ჩვენი სურვილი თაყვანი ვცეთ ღმერთს ჩვენი ზიარების შეხვედრების დროს. თუ ჩვენ რწმენით ვიღებთ ზიარებას, სულიწმინდა შეძლებს დაგვიცვას ჩვენ და ისინი, ვინც გვიყვარს, ცდუნებისგან , რომელიც უფრო ხშირად და ძლიერად ივლენს თავს.

სულიწმინდის თანხლება კარგს უფრო მიმზიდველს ხდის, ცდუნებას კი - ნაკლებად მიმზიდველს. მხოლოდ ეს უნდა იყოს საკმარისი, გადავწყვიტოთ, ვიყოთ ღირსნი იმისა, რომ სულიწმინდა მუდამ იყოს ჩვენთან.

ზუსტად ისე, როგორც სულიწმინდა გვაძლიერებს ბოროტის წინააღმდეგ, უფალიც გვაძლევს ძალას განვასხვავოთ ჭეშმარიტება სიყალბისგან. ყველაზე მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება დასტურდება მხოლოდ ღვთის გამოცხადებით. ჩვენი ადამიანური მიზეზი და ფიზიკური გრძნობების გამოყენება არ იქნება საკმარისი. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროში, როცა ყველაზე ბრძენთაც კი გაუჭირდებათ ჭეშმარიტების განსხვავება სიყალბისგან.

უფალმა ასწავლა თავის მოციქულს, თომას, რომელსაც უნდოდა დარწმუნებულიყო მხსნელის აღდგომაში მისი ჭრილობების შეხებით, რომ გამოცხადება არის უფრო უსაფრთხო მტკიცებულება: „ეუბნება მას იესო: შენ მირწმუნე იმიტომ, რომ მიხილე. ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ უნახივარ და მირწმუნეს“ (იოანე 20:29).

ჭეშმარიტებანი, რომელნიც გვიჩვენებენ გზას ღმერთთან, სულიწმინდის მიერ არის დადასტურებული. ჩვენ ვერ წავალთ ტყეში მამისა და ძის დასანახად, რომელნიც ახალგაზრდა ჯოზეფ სმითს ესაუბრნენ. ვერც ფიზიკური დასტური და

ვერც ლოგიკური არგუმენტი ვერ დაამტკიცებს იმას, რომ ელიასი მოვა, დაპირებისამებრ, მღვდლობის გასაღებების დასამტკიცებლად, რომელნიც ახლა წინასწარმეტყველის, თომას ს. მონსონის, მფლობელობაში და განკარგულებაშია.

ჭეშმარიტების დამტკიცება მოდის ღვთის ისეთ ძესთან ან ასულთან, რომელმაც მოითხოვა სულიწმინდის მიღების უფლება. რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება წარმოგვიდგინონ ცრუ სწავლებანი და ტყუილები, ჩვენ ჭეშმარიტების სულის მუდმივი გავლენა გვჭირდება, რომელიც თავიდან აგვაცილებს ეჭვის მომენტებს.

მოციქული ჯორჯ ქ. ქენონი, თორმეტ მოციქულთა ქვორუმში ყოფნისას, დაჟინებით გვთხოვდა, რომ სულ გვეცადა, სულიწმინდა თან გვყოლოდა. იგი დაგვპირდა, და მეც გპირდებით, რომ თუ გავაგრძელებთ ასე, „არასდროს არ მოგვაკლდება ცოდნა“ ჭეშმარიტებისა, „არასდროს არ აღმოვჩნდებით სიბნელეში და არ გვექნება ეჭვი“ და ჩვენი „რწმენა იქნება ძლიერი, [ჩვენი] სიხარული კი . . . სრული“.[2]

ჩვენ გვჭირდება ეს მუდმივი დახმარება სულიწმინდის თანხლებისა სხვა მიზნისთვის. უეცრად შეიძლება საყვარელი ადამიანი გამოგეცალოთ ხელიდან. სულიწმინდის დასტური საყვარელი მამა ზეციერის რეალობისა და აღდგენილი მხსნელის შესახებ გვაძლევს იმედსა და ნუგეშს საყვარელი ადამიანის დაკარგვის დროს. ეს მოწმობა უნდა გქონდეთ, როცა ვინმე გარდაიცვლება.

ასე რომ, მრავალი მიზეზის გამო, ჩვენ გვჭირდება სულიწმინდის მუდმივი თანხლება. ჩვენ ეს გვსურს, მაგრამ გამოცდილებიდან ვიცით, რომ ამის შენარჩუნება არ არის ადვილი. თითოეული ჩვენგანი ფიქრობს, ლაპარაკობს და აკეთებს ისეთ რამეს დღის განმავლობაში, რამაც შეიძლება სულიწმინდა დააფრთხოს. უფალმა გვასწავლა, რომ სულიწმინდა იქნება ჩვენი მარადიული თანამგზავრი, როცა გულები „მოწყალებით აგვევსება“ და როცა „ჩვენი აზრები მუდამ კეთილშობილებით იქნება შემკობილი (იხ. მოძღვრება და აღთქმები 121:45).

მათ, ვისაც უჭირთ სულიწმინდის თანხლებისთვის საჭირო სტანდარტების შენარჩნება, მე ასე შევაგულიანებდი. თქვენ გქონიათ მომენტები, როცა სულიწმინდის გავლენა გიგრძვნიათ. ეს დღესაც შეიძლება მომხდარიყო.

თქვენ შეგიძლიათ ასეთ მომენტებს მოექცეთ, როგორც რწმენის მარცვლებს, რაც ალმამ აღწერა (იხ. ალმა 32:28). ჩარგეთ თითოეული მათგანი. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ეს, როცა საამისო ბიძგს იგრძნობთ. ყველაზე ფასეული შთაგონებაა ის, როდესაც ხვდებით, რა სურს თქვენგან ღმერთს. თუ ეს მეათედის გადახდას ეხება ან მგლოვიარე მეგობრის მონახულებას - ასეც მოიქეცით. რასაც არ უნდა ეხებოდეს ეს, გააკეთეთ. როცა აჩვენებთ თქვენს მზადყოფნას მორჩილებისთვის, სულიწმინდა უფრო მეტად გაგრძნობინებთ, რა უნდა გააკეთოთ ისეთი, რაც ღმერთს სურს.

როცა მორჩილნი ხართ, სულიწმინდის გავლენა უფრო ხშირია და თანდათან გადაიზრდება მუდმივ თანამგზავრობაში. გაიზრდება თქვენი ძალა გააკეთოთ სწორი არჩევანი.

თქვენ გეცოდინებათ, როდის არის ეს სულიწმინდის კარნახი და როდის არის თქვენი საკუთარი სურვილი. როცა ეს გრძნობები ემთხვევა იმას, რაც მხსნელმა და მისმა ცოცხალმა წინასწარმეტყველებმა თქვეს, შეგიძლიათ გაბედულად დაემორჩილოთ. შემდეგ უფალი სულიწმინდას გამოგიგზავნით.

მაგალითად, თუ მიიღებთ სულიერ კარნახს პატივი მიაგოთ შაბათს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ძნელია, ღმერთი გამოგიგზავნით სულიწმინდას დასახმარებლად.

ასეთი დახმარება მიიღო მამაჩემმა წლების წინ, როცა სამსახურის გამო ავსტრალიაში მოუწია წასვლა. იგი კვირას მარტო იყო და ზიარების მიღება უნდოდა. იგი ვერ პოულობდა ინფორმაციას უკანასკნელ დღეთა წმინდანთა ეკლესიაზე. ასე რომ ქუჩაში გავიდა. ქუჩის ყოველ გადაკვეთაზე ლოცულობდა, რათა ცოდნოდა, საით წასულიყო. ერთი საათის სიარულის შემდეგ იგი კვლავ გაჩერდა, რათა ელოცა. მან იგრძნო, რომ გარკვეულ ქუჩაზე უნდა ჩაეხვია. სულ მალე მას ახლო მდებარე სახლის პირველი სართულიდან სიმღერა მოესმა. მან ფანჯარაში შეიჭყიტა და დაინახა რამდენიმე ადამიანი თეთრად გადაფარებულ მაგიდასთან მჯდომი და ზიარების ჭურჭელი.

შეიძლება ეს თქვენთვის არაფერი არ იყოს, მაგრამ მისთვის ეს რაღაც შესანიშნავი იყო. მან იცოდა ზიარების ლოცვის სიტყვებიდან, როგორ სრულდება ეს დაპირება: „ყოველთვის გვახსოვდეს იგი და იცავდეთ მის მცნებებს, რათა მისი სული ყოველთვის იყოს მათთან“ (მოძვრება და აღთქმები 20:77).

ეს იყო მხოლოდ ერთი მაგალითი იმისა, როცა მან ილოცა და შემდეგ სულიწმინდის კარნახის თანახმად მოიქცა ისე, როგორც ღმერთს სურდა. იგი წლების განმავლობაში ამას აკეთებდა, ისევე, როგორც მე და თქვენ. იგი არასდროს არ საუბრობდა თავის სულიერებაზე. უბრალოდ უფლისთვის იმ პატარ-პატარა საქმეებს ასრულებდა, რომლებზეც შთაგონებას იღებდა.

როცა არ უნდა ეთხოვათ უკანასკნელ დღეთა წმინდანთა ჯგუფს, ესაუბრა მათთან, იგი უსრულებდა თხოვნას. არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, იყო 10 კაცი თუ 50, ან რაოდენ დაღლილი

იყო იგი. იგი მოწმობდა მამაზე, ძეზე, სულიწმინდაზე და წინასწარმეტყველებზე, როცა კი ამისთვის სულიწმინდის კარნახს იგრძნობდა.

მისი ყველაზე მაღალი საეკლესიო მოწოდება იყო იუტას ბონევილის პალოს უზენაეს საბჭოშო, სადაც პალოს ფერმაზე სარეველას გლეჯდა და საკვირაო სკოლის გაკვეთილებს ატარებდა. წლების განმავლობაში, როცა კი მას ეს სჭირდებოდა, სულიწმინდა მისი თანამგზავრი იყო.

მე მამაჩემის გვერდით საავადმყოფოს პალატაში ვიდექი. დედაჩემი, რომელიც 41 წლის მანძილზე მისი მეუღლე იყო, საწოლზე იწვა. ჩვენ მას საათობით ვაკვირდებოდით. უკვე შევნიშნეთ, რომ მას სახიდან ტკივილის ნიშნები უქრებოდა. ხელის თითები მუშტში შეკრული, მოეშვა. ხელები უშპოთველად ჰქონდა დაშვებული.

ათწლეულების სიმსივნის ტკივილებს თითქმის ბოლო მოეღო. მე მის სახეზე სიმშვიდის გამომეტყველება შევნიშნე. მან რამდენჯერმე მოკლედ ჩაისუნთქა და გაშეშდა. ჩვენ ვიდექით და ვუყურებდით, კიდევ ხომ არ ჩაისუნთქავდა.

ბოლოს, მამამ ჩუმად თქვა: „პატარა გოგო სახლში დაბრუნდა“.

მას ცრემლი არ დაუღვრია, რადგან სულიწმინდამ დიდი ხნის წინ ნათლად დაანახა, ვინ იყო იგი და საიდან მოვიდა, რა გახდა და სად მიდიოდა. სულიწმინდამ მრავალჯერ დაუმოწმა მას მოსიყვარულე მამაზეციერის, მხსნელის, რომელმაც სიკვდილის ძალა დაძლია და მეუღლესთან და შვილებთან ერთად ტაძარში ჩაბეჭდვის რეალობის შესახებ.

სულიწმინდამ დიდი ხნის წინ დაარწმუნა იგი, რომ მეუღლის სიკეთემ და რწმენამ ღირსი გახადეს იგი ზეციურ სახლში დასაბრუნებლად, სადაც იგი ემახსოვრებათ, როგორც დაპირების შესანიშნავი შვილი და სადაც პატივისცემით შეხვდებიან მას.

მამაჩემისთვის ეს იმედზე მეტი იყო. სულიწმინდამ ეს მისთვის რეალობად აქცია.

შეიძლება ვინმე იტყვის, რომ ეს სიტყვები და წარმოდგენები ზეციური სახლის შესახებ იყო უბრალო სენტიმენტალურობა, გონება დაბინდებული მეუღლის მსჯელობა დანაკარგის მომენტში. მაგრამ მან იცოდა მარადიული ჭეშმარიტება, მან იმ ერთადერთი შეცნობის ხერხით შეიტყო, რომელიც არსებობს.

იგი იყო მეცნიერი, რომელიც ფიზიკური სამყაროს ჭეშმარიტებას ეძებდა ზრდასრულ ცხოვრებაში. იყენებდა მეცნიერულ იარაღებს ისე, რომ საკმაოდ აღიარებული იყო ცნობილი კოლეგებს შორის მთელს მსოფლიოში. ის, რასაც მან ქიმიაში მიაღწია, მოვიდა როგორც მოლეკულების გონებაში წარმოსახვა და შემდეგ ლაბორატორიაში ექსპერიმენტებზე თავისი ხილვის დამტკიცება.

მაგრამ იგი სხვა გზით წავიდა იმ ჭეშმარიტებათა აღმოსაჩენად, რომლებსაც მისთვის და ჩვენთვისაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ სულიწმინდის მეშვეობით შეგვიძლია ვიხილოთ ადამიანები და მოვლენები ისე, როგორც ღმერთი ხედავს მათ.

ამ ნიჭის გამოვლენა საავადმყოფოში გაგრძელდა, მისი მეუღლის სიკვდილის შემდეგ. ჩვენ დედაჩემის ნივთები შევაგროვეთ სახლში წასაღებად. მანქანისკენ რომ მივდიოდით, მამა მადლობას უხდიდა ყოველ ექთანს და ექიმს, რომლებიც გზად გვხვდებოდნენ. მე მახსოვს, ცოტა გაღიზიანებულმა, ვიგრძენი, რომ მარტო უნდა დავრჩენილიყავით ამ წუხილში.

მე ახლა ვხვდები, რომ იგი ხედავდა იმას, რასაც მხოლოდ სულიწმინდას შეეძლო ეჩვენებინა მისთვის. იგი ხედავდა იმ ადამიანებს, როგორც ღვთის მიერ მოვლენილ ანგელოზებს, რომლებიც მის მეუღლეს უვლიდნენ. ისინი საკუთარ თავს სამედიცინო პერსონალად თვლიდნენ, მაგრამ მამა მათ მხსნელის სახელით უხდიდა მადლობას.

სულიწმინდის გავლენა გაგრძელდა მასზე მას შემდეგაც, რაც ჩემი მშობლების სახლში ჩამოვედით. ჩვენ ცოტახან მისაღებ ოთახში ვისაუბრეთ. მამა ბოდიშის მოხდით თავის საძინებელში წავიდა. მამაჩემმა ბოდიში მოიხადა და გავიდა საძინებელ ოთახში.

რამდენიმე წუთის შემდეგ იგი უკან მისაღებ ოთაშხი დაბრუნდა. მას სასიამოვნო ღიმილი ჰქონდა სახეზე. მოგვიახლოვდა და ჩუმად თქვა: „მე მეშინოდა, რომ მილდრიდი სულიერ სამყაროში მარტო წავიდოდა. ვიფიქრე, ამდენ ხალხში არ დაიკარგოს“.

მერე მხნედ თქვა: „ახლა ვილოცე. ვიცი, რომ მილდრედი კარგად არის. იქ დედაჩემი შეეგება“.

მახსოვს, ამას რომ ამბობდა, ვიღიმოდი და ჩემს ბებიას წარმოვიდგენდი, როგორ მიფუსფუსებდა იგი მოკლე ფეხებით, გზას იკვლევდა ხალხში, რათა გაშლილი ხელებით რძალს შეხვედროდა.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მამამ მოინდომა ეს ნუგეში და მიიღო იგი იყო ის, რომ იგი ბავშვობიდან ყოველთვის რწმენით ლოცულობდა. მიჩვეული იყო იმას, რომ ნუგეშის და მიმართულების მისაღებად პასუხებს გულში იღებდა. იგი მიჩვეული იყო ლოცვას, ასევე იცოდა წმინდა წერილი და ცოცხალი წინასწარმეტყველების სიტყვები. მან ამოიცნო სულიწმინდის ნაცნობი ჩურჩული. იქნებ თქვენც იგრძენით იგი დღეს?

სულიწმინდის თანხლება მისთვის რჩევის და ნუგეშის მომცემზე მეტი რამ იყო. მან შეცვალა იგი იესო ქრისტეს გამოსყიდვის მეშვეობით. როცა ჩვენ ვიღებთ ამ დაპირებას, რომ სულიწმინდა ყოველთვის იქნება ჩვენთან, მხსნელი გვიბოძებს მარადიული ცხოვრებისთვის საჭირო

სიწმინდეს, ღვთის ყველა ძღვენთა შორის უდიდეს ძღვენს (იხ. მოძღვრება და აღთქმები 14:7).

თქვენ გახსოვთ მხსნელის სიტყვები: „ახლა, ეს არის მცნება: მოინანიეთ, თქვენ, დედამიწის ყველა კიდენო, მოდით და ჩემი სახელით მოინათლეთ, რათა სულიწმინდის მიღებით განიწმინდოთ, რომ უკანასკნელ დღეს, ჩემს წინაშე უმწიკვლოდ წარსდგეთ.“(3 ნეფი 27:20).

ამ მცნებებს უფლის დაპირება ახლავს:

„და ახლა ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მიენდეთ იმ სულს, რომელსაც კეთელისკენ მიყავხართ, დიახ, რათა იმოქმედოთ სამართლიანად, იაროთ მორჩილად, განსაჯოთ სამართალით და ეს არის ჩემი სული.

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, გიბოძებთ ჩემს სულს, რომელიც გაგინათებთ გონებას, რომელიც აგივსებთ სულს სიხარულით“. (მოძღვრება და აღთქმები 11:12-13).

მე ვმოწმობ, რომ მამა ღმერთი ცოცხალია, რომ აღმდგარი იესო ქრისტე უძღვება მის ეკლესიას, რომ პრეზიდენტი თომას ს. მონსონი არის მღვდლობის გასაღებების მფლობელი და რომ სულიწმინდის მეშვეობით მიღებული გამოცხადება წინ უძღვის და მხარს უჭერს უკანასკნელ დღეთა წმინდანთა იესო ქრისეს ეკლესიას და მის მორჩილ წევრებს.

მე ასევე ვმოწმობ, რომ ეს შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც დღეს გვესაუბრებოდნენ, როგორც უფალი იესო ქრისტეს მოწმენი, როგორც თორმეტ მოციქულთა ქვორუმი, ღმერთის მიერ არიან მოწოდებულნი. მე ვიცი, რომ პრეზიდენტმა მონსონმა სულიწმინდის კარნახით მოუხმო მათ. და როცა თქვენ უსმენდით მათ და მათ დამოწმებებს, სულიწმინდამ დაგიმოწმათ, რასაც ახლა გეუბნებით. ისინი ღვთის მიერ არიან არჩეულნი. მე მათ მხარს ვუჭერ და ვიცი, რომ უფალს უყვარს ისინი და მხარს დაუჭერს მათ მსახურებაში. და მე ამას ვაკეთებ იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. *Handbook 2* (*სახელმძღვანელო 2: ეკლესიის მართვა* (2010), 20.3.10.
2. ჯორჯ ქ. ქენონი, წიგნში “Minutes of a Conference,” *Millennial Star,* მაისი 2, 1863, 275–76.

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *Visiting Teaching Message, November 2015*. Georgian. 12591 131